

<https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.34>

**სახელმწიფო საზღვარი ჭოროხთან და
საზღვრისპირა დასახლებათა ნარატივები
მხატვრულ ლიტერატურასა და
გეპირ ისტორიებში**
**THE STATE BORDER WITH CHOROKHI AND
NARRATIVES OF BORDER SETTLEMENTS
IN FICTION AND ORAL HISTORIES**

მალხაზ ჩოხარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

ნინო თურმანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Malkhaz Chokharadze

Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

Nino Turmanidze

Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

ABSTRACT

The work draws from a diverse range of sources, including scientific literature, literary texts, and oral histories from villages (Kveda Maradidi, Zeda Maradidi, Kirnati, Kheba) located along the Georgia-Turkey border strip adjacent to the Chorokhi River (materials of the field expeditions of 2021-2023). The primary objective of this study is to explore specific thematic arcs that emerge from oral histories and fiction. Key areas of focus include narratives concerning demarcation and the border in generational memory, instances of smuggling, intelligence activities spanning the periods before, during, and after the World War II, as well as the dynamics of cross-border settlements and the evolution of communication methods.

In the early 1920s, a significant geopolitical development unfolded as the state border between Turkey and the Soviet Union severed land and water connections, impacting valleys and villages in Georgia. A substantial portion of historical southern Georgia was incorporated into Turkey's territory. Initially, until the mid-1930s, inhabitants living across the border maintained the ability to interact and traverse freely. However, over time, the border regime progressively tightened, particularly

during and after the World War II. Notably, the dissolution of the Soviet Union marked a turning point in this situation.

The timeliness of this research is underscored by its dual focus on the Chorokhi border settlements and the broader spatial transformation precipitated by the new border geography since the early 20th century. It's worth highlighting that interest in narratives about state borders and border settlements has persisted throughout various eras, prompting numerous creators to engage with this subject matter. Consequently, the oral traditions of the Chorokhi basin contribute valuable material.

The distinct nature of the border motif is predominantly informed by historical realities. In analytical texts, a discernible patriotic sentiment coexists with a palpable empathy for the plight of ordinary individuals, such as Sarpi, Maradidi, Kirnati residents, and others. This empathy resonates in depictions of the anguish felt for loved ones, as well as for the graves left behind on the opposite side of the border. Such emotions find expression in both the daily lives of border settlements and within literary works. However, it is important to recognize the influence of different epochs on the various forms of creative expression.


საკვანძო სიტყვები: საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა სოფლების გადმოცემები, კირნათ-მარადიდელთა ნარატივები, საქართველო-თურქეთის ურთიერთობა XX საუკუნეში.

Keywords: Narratives of Georgia-Turkey border villages, narratives of Kirnati-Maradidi, Georgia-Turkey relations in the 20th century.

1946 წელს ლექსში „ჭოროხის ხვაშიადი“ ფრიდონ ხალვაში წერდა:
 „მოღის და ამბობს ჭოროხი,
 როგორ გაჩნდა და იწვალა,
 მოაქვს შლამი და გოროხი
 ესეც ხომ ჩვენი მიწა“...

ცხადია, რომ ტკივილით სავსე სტრიქონები სამხრეთ საქართველოს ტრაგიკული ისტორიის გამოძახილია. პოეტი ერთგან შენიშნავს, რომ ეს ისტორია მისი შემოქმედების მთავარი თემაა (ხალვაში 2000: 11). ხელოვნურად გაჩენილი საზღვარი და საზღვარს მიღმა დარჩენილი მიწა-წყალი მხატვრული ლიტერატურისა თუ ზეპირი ისტორიების „მთავარ თემად“ 1921 წლიდან იქცა: მე-20 საუკუნის ოციან წლებში, თურქეთისა და საბჭოთა კავშირის შეთანხმებით, სახელმწიფო საზღვარმა გაყო ისტორიული სამხრეთ საქართველოს მრავალი ხეობა და სოფელი. საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაში მოექცა. საზღვრის დემარკაციის პროცესი რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა და, კონკრეტულად მდინარე ჭოროხთან, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ასეთი სურათი: კირნათსა და ხეხას შორის, ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე საზღვარი ეშვება ოღლავის ღელეში და შედის ჭოროხში.

შემდეგ, დაახლოებით 1,5 კილომეტრის მანძილზე კირნათსა და ზედა მარადიდს შორის, გასდევს ჭოროხს და ქვედა მარადიდთან გადადის მდინარის მარცხენა ნაპირზე. აწყვება რა მარადიდის ქედს, ორ ნაწილად ჰყოფს სოფელს: ზედა მარადიდი თურქეთშია და მას ახლა მურათლი ჰქვია, ხოლო ქვედა მარადიდი საქართველოშია. ამდენად, კირნათი და ზედა მარადიდი ერთმანეთს გაჰყურებენ ჭოროხის გაღმა-გამოდმა. ხოლო სამხრეთით კირნათს ესაზღვრება ხეზა, ანუ ქარშიქოი. ხეზაც დიდი სოფელია, მრავალი უბნით და ქართული მოსახლეობით. საზღვრისპირა უბანს ქვედა ხინწყანა ჰქვია. კირნათში საზღვართან მდებარეობს ოღლაგი, რომელიც მოსახლეობისგან დაცლილია: მეოცე საუკუნის 40-იან წლებში მთელი უბანი გაასახლეს (მარადიდი 2020: 266).



უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში გაანალიზებული ზეპირი ისტორიები, შესაბამისი თემატური რკალები, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ დაიკარგა, სასაზღვრო დასახლების თაობათა ცხოვრების რთულ სურათებს ხატავს. მეხსიერების სპეციფიკური ნაწილია მხატვრულ ლიტერატურაში ასახული რეალობაც.

ხალხის მეხსიერებამ შემოინახა დემარკაციის ისტორიები. საზღვრის დემარკაცია ნიშნავს სახელმწიფო საზღვრის ხაზის დადგენას ადგილზე სპეციალური სასაზღვრო ნიშნების საშუალებით. სასაზღვრო ხაზის ფორმირება მრავალწლიანი და რთული პროცესია. განსაკუთრებთ მაშინ, როცა ორ სახელმწიფოს შორის ახალი საზღვარი ჩნდება. ადგილობრივი მოსახლეობისთვის კიდევ უფრო რთულდება ვითარება, როცა ეს ორი სახელმწიფო დაპყრობილ ტერიტორიას იყოფს. ასეთ შემთხვევაში, როგორც

წესი, არავინ ითვალისწინებს საზღვრით გასაყოფი რეგიონის ისტორიას, მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, ადგილობრივი მეურნეობის თავისებურებებს და ა. შ.

სადემარკაციო კომისია, რომელიც ჩამოყალიბდა თურქეთისა და საბჭოთა კავშირის შეთანხმებით, რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა (ბაქრაძე 1971: 27). საბოლოოდ, თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოექცა ისტორიული სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი. საზღვრით გაიყო სოფლები და ხეობები...

ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებამ შემოინახა ნარატივები დემარკაციის პროცესის შესახებ. ასეთი ისტორიები რეალობის ანარეკლია, რეალურ მოვლენათა ხალხური ინტერპრეტაციაა, სიმართლისა და ფანტაზიის ნაზავია.

1921 წლის მარტის მოვლენების შემდეგ, როცა ქართულმა ჯარმა ბათუმი გაათავისუფლა, სამხრეთით დაკავებული ტერიტორიებიდან ოსმალთა განდევნა ვერ მოხერხდა. თურქების რაზმი ზედა მარადიდში დაბანაკდა. რუსული არმიის ქვედანაყოფი კი სოფელ მაჭახლისპირთან იდგა. ქვედა მარადიდი და კირნათი წარმოადგენდა ერთგვარ ბუფერულ ზონას. ჭოროხისპირა სასაზღვრო ზოლის საფუძვლად მოგვიანებით სწორედ ეს ახალი რეალობა იქცა.

ქვედა მარადიდში, როგორც აღვნიშნეთ, არ იდგნენ თურქი ან რუსი ჯარისკაცები, თუმცა თურქეთი ცდილობდა ამ სოფლის მითვისებასაც. ქვედა მარადიდელთა მეხსიერება ინახავს ინფორმაციას სოფლის კრების გადაწყვეტილების შესახებ: სოფელმა ბათუმში მთავრობასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა წარმომადგენლები, რომლებიც შეხვდნენ აჭარის რევკომის წევრებს და სხვებს. ქვედა მარადიდელთა ძალისხმევით სასაზღვრო ხაზისთვის მოინიშნა „ქილსეს გორა“ და სოფელი საქართველოში დარჩა.

ქილსეს გორა ფიგურირებს ზედა მარადიდელთა ზეპირ ისტორიებშიც, რაც განამტკიცებს დემარკაციის პროცესზე ზემოქმედების ქვედა მარადიდულ ვერსიას. თუმცა მურათლელთა ისტორიებში საქართველო (საზღვარი საქართველოსთან) არავის უხსენებია. იქ ამბობდნენ, რომ მათი წინაპრები იდგნენ არჩევანის წინაშე თურქეთსა და რუსეთს შორის. ამიტომ, როცა გაიგეს, რომ საზღვარს უნდა გაეწყო ქილსეს გორაზე ისე, რომ ძველი ნაეკლესიარის ნაშთები რუსეთის მხარეს უნდა დარჩენილიყო, აიღეს და ეს ნაშთები, ანუ ეკლესიის ქვები, ერთ ღამეში გადაზიდეს მოშორებით... ამით ზედა მარადიდისთვის რამდენიმე ჰექტარი სავარგული და სამოვარი „მოიგეს“.

კირნათი-მარადიდის ნარატივების მიხედვით, საქართველოს ფარგლებში სოფლის მოსაქცევად კირნათელებმაც ბევრი იღვაწეს. კომისიის მუშაობის პერიოდში კირნათს თურქეთი იჩემებდა. ზურაბ წითელაძის თქმით, პირობითი საზღვარი ყოფილა სამელიას (ადგილია დაახლოებით ქვედა მარადიდის მოპირდაპირედ) ლამის 30-იანი წლების შუა ხანებამდე. იმ თაობის კირნათელები ხუმრობდნენ თურმე – ერთხელაც თურქეთში დავიძინეთ და რომ გავიღვიძეთ, რუსეთში ვიყავითო...

ახლადგაჩენილ საზღვარზე საბაჟო გამშვები პუნქტიც გაიხსნა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჭოროხთან ახლოს ოღლავის დელეზე ხიდი იყო და გასვლა შეეძლო ყველას, ვინც საშვს წარადგენდა. პირველ ეტაპზე ჩვეულებრივი ამბავი იყო მიმოსვლა, ქორწინება, აღებ-მიცემობა და ა.შ. თაობათა მეხსიერებამ შემოინახა ამ ურთიერთობათა კონკრეტული ისტორიებიც.

ჭოროხის სავაჭრო და სანაოსნო გზა მრავალი საუკუნის განმავლობაში განსაზღვრავდა ჭოროხისპირა დასახლებათა ცხოვრების წესს. მდინარის ქვედაწელის საზღვრით ჩაკეტვა რადიკალურად ცვლიდა მანამდელ ვითარებას საზღვრისპირა დასახლებებში და, მეტ-ნაკლებად, მთელ აუზში. ძველი რეალობის ინერცია იყო კონტრაბანდა: კონტრაბანდისტები ერთხანს „ინარჩუნებდნენ“ ბათუმი-ართვინის სავაჭრო ურთიერთობებს. რაც შეეხება სადაზვერვო საქმიანობას, ეს მნიშვნელოვანი სიახლე იყო რეგიონის ცხოვრებაში და განსაკუთრებით 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან 40-იანი წლების მიწურულამდე ამ საქმიანობამ არნახული მასშტაბი შეიძინა.

ჭოროხის მარცხენა ნაპირზე კონტრაბანდის გზის მარადიდის მონაკვეთი კეკიეთზე გადიოდა. კეკიეთი ზედა მარადიდის უბანია. საზღვართან, გადაღმა, ქვედა მარადიდის უბნებია ქედი და მუსოლიკარი. ამ გზით კონტრაბანდისტები აქტიურად სარგებლობდნენ, მაგრამ კიდევ უფრო ინტენსიური ყოფილა ხემა-კირნათის გზა, კერძოდ, გორგაჯლის (ხემა) სასაზღვრო სექტორი, საიდანაც გზა მაჭახელში, სკურდიდამდე მიდიოდა (მარადიდი 2020: 2011). ერთი გზაც, კირნათელთა თქმით, „ოჯვებურად გადადიოდა ოღლაში“. სწორედ ამ გზაზე მოუკლავთ ჩასაფრებულ ჩეკისტებს ერთი კონტრაბანდისტი. მას „ტყვიამ მუხლის ძვალი გაუხეთქა, დაუჩირქდა ფეხი და მოკვდა“.

მსგავსი ისტორიები დღემდე მრავლადაა შემორჩენილი საზღვრისპირა სოფლებში როგორც საქართველოს, ასევე, თურქეთის მხარეს. კონტრაბანდისტების ხიფათით სავსე საქმიანობას კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ ამ ხალხს ორივე ქვეყანა არცთუ იშვიათად იყენებდა სადაზვერვო საქმიანობისთვის. ახალი საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის აქტიური პოლიტიკური ურთიერთობების სივრცედ ითვლებოდა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, მეტადრე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და შემდეგ, როცა აქტიურად განიხილებოდა საზღვრების გადასინჯვის საკითხი. ამდენად, მთელ სასაზღვრო სივრცეში ჩამოყალიბდა სადაზვერვო საქმიანობის სპეციფიკური ჩარჩო, რომელიც ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის რესურსს ეფუძნებოდა (მარადიდი 2020: 266).

არაერთი ზეპირი ისტორია ტრაგიკული შინაარსის შემცველია. აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ მარადიდისა და კირნათის ზეპირი ისტორიებიდან.

მარადიდელი შვეიბი კონკრეტული დავალებით იყო გადასული თურქეთში. უკან დაბრუნებისას, საზღვრის გადმოლახვის მცდელობისას, თურქმა მესაზღვრებმა შენიშნეს და დაედევნენ. დამალვა მოასწრო, ოღონდ ჭოროხში, წყალში ჩაიმალა. ნაპირთან ახლოს ბუჩქნარი იყო და თურქმა მესაზღვრებმა ვერ მიაგნეს. შვეიბმა მოახერხა საზღვრის გადმოკვეთა,

მაგრამ ეს ამბავი ზამთარში ხდებოდა, დეკემბერში. შვეიბმა რამდენიმე საათი დაჰყო სუსხიან წყალში. სახლამდე მიაღწია, მაგრამ იმდენად გადაციებული იყო ორგანიზმი, რომ მზვერავი რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა.

სადაზვერვო საქმიანობაში ჩაბმული იყო შვეიბის მმაც, ქაზიმი, გამოცდილი მზვერავი ხანგრძლივი პრაქტიკით. 1945 წელს, თანასოფელ ბეხრისთან ერთად საზღვრის გადმოკვეთის მცდელობისას დაიჭირეს.

თურქეთში ისინი დიდხანს აწამეს, მიუსაჯეს ჩამოხრჩობა, რაც მერე პატიმრობით შეუცვალეს. რამდენიმე წლის შემდეგ გამოუშვეს. მათ მიეცათ თურქეთში ცხოვრებისა და მუშაობის უფლება, ოღონდ სათანადო ორგანოების მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ. სამშობლოში დაბრუნდნენ სამოციან წლებში და სიცოცხლის ბოლომდე მარადიდში ცხოვრობდნენ (მარადიდი 2020: 237).

კირნათელი სულიმანი აქტიურად იყო ჩართული სადაზვერვო საქმიანობაში. ერთ-ერთი გადასვლისას თურქმა მესაზღვრეებმა მისი შეპყრობა სცადეს. საქმე ისაა, რომ სულიმანი დათქმულ ადგილას, სასაზღვრო ზოლთან ახლოს, წინასწარ განსაზღვრულ დროს უნდა შეხვედროდა მოკავშირეს თურქეთიდან. მოკავშირე არ მოვიდა, მაგრამ იქ იყვნენ თურქი მესაზღვრეები, რომლებმაც სროლა აუტეხეს და მკლავში დაჭრეს. მთხრობელთა აზრით, სულიმანი სწორედ მოკავშირემ დააბეზლა... საბჭოთა მესაზღვრეებს სროლა რომ დაეწყოთ, საქმე სასაზღვრო კონფლიქტამდე მივიდოდა, ამიტომ კვამლის ყუმბარები გამოიყენეს და მოახერხეს საზღვარს აქეთ გადმოყვანა მზვერავისა...

ეს ნარატივები მხოლოდ მცირედი ნაწილია საზღვრისპირა მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერებისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონტრაბანდისტების, და მით უმეტეს მზვერავების, საქმიანობა ვერ იქცა მხატვრული ლიტერატურის ასახვის საგნად, უფრო იმიტომ, რომ ეს საბჭოთა მწერლობისთვის დახურული თემა იყო, თუმცა ამ თემატურ რკალზე საუბრისას მაინც უნდა შევეხოთ შოთა გიორხელიძისა და მარია ნემიროვას რომანს „სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია“, რომელიც მზვერავთა ცხოვრებას ასახავს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ერთი ეპიზოდი, რომელშიც საქართველო-თურქეთის საზღვრის გადმოკვეთაა აღწერილი. რომანი დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა და მოგვითხრობს ქართველი მზვერავის შესახებ, რომელიც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიაში საგანგებო დავალებას ასრულებდა. ომის ბოლო ეტაპზე მას საქართველოში შემოგზავნიან ანტისაბჭოთა ამბოხების ორგანიზებისთვის...

პეტრე ნიჟარაძე თურქ გამყოლთან ერთად გადმოდის საზღვარზე. გამყოლი საზღვარს მიღმაც მოჰყვება. თურქს „დაბამბული შარვალი, დაბამბული ქურთუკი და კალოშები“ აცვია. ზუსტად ასეთი ტანსაცმელი აქვს მომარაგებული მზვერავისთვის. გარდა ამისა, ტომარაში ბალნის ლეიბიც უდევს, რომელსაც ერთ მხარეს ღორის უხეში ტყავი აქვს დაკრული. ეს ყველაფერი იმისთვისაა საჭირო, რომ სასაზღვრო მავთულხლართის გადალახვისას გამყოლს დაუშვებლად მიაჩნია მისი გაჭრა.

„მეგზურმა ყური მიუგდო, დარწმუნდა, საეჭვო არაფერიც არაა და მავთულხლართზე ლეიბი გადაჰყიდა... მერე პეტრეს უსიტყვოდ უბრძანა, იქითა მხარეს გადამვერიო. წამიც და მზვერავი უკვე მშობლიურ მიწაზე იყო“, – ასე ხატავს ავტორი სურათს. შემდეგ მეგზურიც გადმოძვრა, ლეიბი ისევ ტომარაში ჩატენა და თანამგზავს წინ გაუძღვა. „პეტრე კვალდაკვალ მიჰყვა, მათი ფეხის ხმა არ ისმოდა. ხან გორაკებზე გადადიოდნენ, ხანაც ჭაობში ეფლობოდნენ“. ბოლოს, როცა შორს გამოჩნდა დასახლებული პუნქტი, მზღებელმა მიატოვა მზვერავი და თავად უკან დაბრუნდა (გიორგელაძე.... 1969: 276).

სამცხის მონაკვეთი, სადაც, რომანის მიხედვით, პეტრე ნიჟარაძე საზღვარს გადმოკვეთს, ჭოროხიდან შორსაა, თუმცა ამ შემთხვევაში მხატვრული ტექსტის ფრაგმენტი მოვიყვანეთ როგორც რეალობიდან აღებული ინფორმაცია: მავთულხლართებზე გადასვლის ამგვარი ხერხის შესახებ გვიამბეს კირნათშიც, ხეზაშიც და მარადიდშიც...

ომის შემდგომ, განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან, მზვერავთა ადგილობრივ რესურსს აღარ იყენებდნენ. გარდა იმისა, რომ შეიცვალა პოლიტიკური ვითარება და პრიორიტეტები, ახალ თაობას საზღვარს მიღმა ვეღარ ეყოლებოდა ასეთი საქმიანობისთვის აუცილებელი საურთიერთო წრე, რაც გამორიცხავდა წარმატების შესაძლებლობასაც კი.

ჭოროხისპირა დასახლებათა ზეპირი ისტორიების თანახმად, სასაზღვრო ზოლზე კონტროლი გამკაცრდა დაახლოებით 1930-იანი წლების მიწურულიდან. სასაზღვრო ინფრასტრუქტურაც შესაბამისად გაიმართა. ამიერიდან ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა უთიერთობის სახეს სასაზღვრო ზოლიც ქმნიდა. ცხადია, გაუქმდა საბაჟო გამშვები პუნქტებიც. ამასთან, როგორც თურქეთი, ასევე საბჭოთა კავშირი მუდმივად ცდილობდა, საზღვრის დაცვა საერთო-სახალხო საქმედ ექცია. შესაბამისად მუშაობდა ორივე მხარის იდეოლოგიური მანქანა და რეპრესიული სისტემა. „იმფერი საზღვარი იყო, რომ ჩიტი ვერ გაფრინდებოდა. სამი მეტრო სიმაღლის ღობე იყო გაბმული“, – გვითხრა ზურაბ წითელაძემ (კირნათი). უმკაცრესი რეჟიმის პირობებში გაღმა-გამოღმა მხარის მოსახლეობას ეკრძალებოდა კომუნიკაციის მცდელობაც კი, თუ, რასაკვირველია, ეს სახელმწიფოს ინტერესებში არ შედიოდა.

ზეპირი ისტორიების ერთი მნიშვნელოვანი თემატური რკალია საზღვრით გაყოფილი ქართველებისა და ქართული მიწაწყლის სევდა. საზღვრისპირა მოსახლეობისთვის ეს ტკივილი თაობათა ცხოვრების ნაწილია. მაგალითად, ისეთი, როგორიც ერთ კირნათულ ნარატივშია: საზღვრის ჩაკეტვამდე ნიგალისხევის სოფლებში ჩვეულებრივი ამბავი იყო სამოყვრო ურთიერთობები. ქალბატონი ფადიმე ზედა მარადიდიდან კირნათში გათხოვილა მეოცე საუკუნის ათიან წლებში. საზღვრის გაჩენა და შემდეგ – მკაცრი რეჟიმის საზღვარი მისი ცხოვრების პირმოუკრავ იარაღად იქცა. 20-იან წლებში იგი ახერხებდა ოჯახის წევრებსა და ნათესავებთან ურთიერთობას: ზედა მარადიდში გადასვლაც შეეძლო და ჭოროხსგაღმა გადაძახილიც. შემდეგ, როცა რეჟიმი გამკაცრდა, გადაძახილი კი არა,

თურქეთისკენ თითის გაშვებაც სასტიკად ისჯებოდა. გავიდოდა ხოლმე მოშორებით, საიდანაც მამისეული სახლი ჩანდა ზედა მარადიდში, გახედავდა და ცრემლიანი თვალებით ბრუნდებოდა სახლში – ასე იხსენებენ 60 და 70-იანი წლების სურათს მისი შთამომავლები.

ეს კონკრეტული ისტორია ფრაგმენტია საზოგადო სურათისა, იმ საერთოეროვნული დიდი სატკივრისა, რომელიც ფართოდ და უდიდესი ემოციით აისახა ჩვენს მწერლობაშიც, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირი თურქეთთან საზღვრების გადასინჯვის შესაძლებლობას განიხილავდა.

ისე დავბერდი,

ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...

ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...

როდის მოუვა მათ გაზაფხული?

ვეღარ ვემთხვიე მესხეთის მიწას,

სადაც გმინავენ ძველი ლოდები,

სადაც აჩრდილნი მამა-პაპათა

შემოგვძახებენ: თქვენ გელოდებით! –

წერდა მაშინ გიორგი ლეონიძე. სწორედ ამ ლექსის ერთგვარ გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ ფრიდონ ხალვაშის „ჭოროხის ხეობის“ შემდეგი სტრიქონები:

მეყრდნობა თბილი შუბლით შავშეთი,

დედა მშობელი ვხედავ ეს არი,

რა ვქნა, მშობელო, ისე დავბერდი,

ჩვენს ერთად ყოფნას ვერ მოვესწარი... (ხალვაში 2000: 228).

საზღვრის მოტივი კი დაუსრულებლად მეორდება ლექსიდან ლექსში და, შეიძლება ითქვას, რომ იშვიათია ძველი თაობის პოეტი, მეტადრე ბათუმელი, რომელიც აღნიშნულ თემას არ შეხებოდეს. ქვემოთ მოვიყვანთ ფრაგმენტებს მხოლოდ სამი ავტორის სამი ლექსიდან, რომელთაც ერთნაირი სათაური აქვთ: „მარადიდი“ და რომლებშიც მკაფიოდ ჩანს ობიექტური რეალობა და ტკივილი ამ რეალობის გამო:

ზურაბ გორგილაძე:

მარადიდი!

მარადიდი!

დაგლეჯილი მარა... დიდი,

მარად დიდი გლოვა ვისთვის,

ვისთვის კიდევ არათითი,

იმერხევის წიწამური,

წამებული მარადისთვის,

მარადიდი!..

სისხლის დარდი,

მარადიდი, მარადიდი (გორგილაძე 1993: 141).

მამია ვარშანიძე:

ლამდებოდა, განა ღამემ
 შემოგარე მოხავსა,
 ელვა-ელვა შორს გაიჭრა,
 მთის კალთები მოხაზა,
 მუმლი ქარში დაუბერტყავს
 მარადიდის მუხასა (ვარშანიძე 1950: 196).

ფრიდონ ხალვაში:

ვიწვი, რომ იმ ლურჯ მთების ხასხასით
 ჰყვოდეს ჩვენი სიტყვა კეთილი
 და კირნათს იქით, მოკლულ მმასავით,
 არ ეგდოს ჩვენი გზა გაწყვეტილი (ხალვაში 2000: 120).

ეს ფრაგმენტები ამჯერად მხოლოდ იმისთვის მოგვყავს, რომ მივანიშნოთ ემოციაზე, რომლითაც გამსჭვალულია სასაზღვრო მოტივი – ზეპირ ისტორიებშიც და მხატვრულ ლიტერატურაშიც.

ამჯერად ჩვენ შევხვით ძირითადად საბჭოთა კავშირ-თურქეთის სასაზღვრო ურთიერთობებს. პოსტსაბჭოთა ეპოქაში საქართველო-თურქეთის საზღვარი განსხვავებული განაწესისაა, მაგრამ საზღვარი რჩება ქართველთათვის ტრაგიკულ შედეგად სსრკ-თურქეთის ურთიერთობის გარკვეული ეტაპისა და, ამასთან, დაბრკოლებად წლების განმავლობაში გაუცხოებული თაობებისთვის.

დასკვნა:

სახელმწიფო საზღვარი ჭოროხთან იმ ვრცელი სასაზღვრო ზოლის ნაწილია, რომელიც თურქეთმა და საბჭოთა კავშირმა გაავლეს სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მე-20 საუკუნის ოციან წლებში. ერთი საუკუნე დიდი დროა და რაკილა ზემოხსენებულ ქვეყნებში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო ცხოვრების წესი და რიგი, იდეოლოგია, რელიგიასთან დამოკიდებულება, საგანმანათლებლო სისტემა და ა.შ. ბუნებრივია, თაობათა ცნობიერებაც არაერთგვაროვნად ვითარდებოდა. მეორე მხრივ, საზღვრის ორივე მხარეს დღემდე შენარჩუნებულია ტრადიციული ყოფის არაერთი დეტალი, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ურთიერთობისათვის. ზეპირი ისტორიები და მხატვრული ტექსტები, შესაბამისად, თემატური რკალები, რომელსაც ვეხებით ნაშრომში, იძლევა გასული საუკუნის სასაზღვრო რეალობის არაერთ ასპექტზე და ამ რეალობასთან მოსახლეობის დამოკიდებულებულეობაზე დაკვირვების შესაძლებლობას.

დამოწმებული ლიტერატურა

ბაქრაძე 1971: ბაქრაძე რ., საბჭოთა სარფი. ბათუმი, 1971.

გორგილაძე 1993: გორგილაძე ზ., რჩეული. ბათუმი, 1993.

გიორხელიძე... 1969: გიორხელიძე შ., ნემიროვა მ., სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. თბილისი, 1969.

მარადიდი 2020: მარადიდი (მონოგრაფია). ავტორები: მალხაზ ჩოხარაძე, მამია ფალავა, ნათელა ფარტენაძე, თინა შიოშვილი, ზაზა შაშიკაძე, რუსლან ბარამიძე, თამარ ჩოხარაძე. თბილისი, 2020.

სარფი 2015: სარფი (მონოგრაფია). ავტორები: მალხაზ ჩოხარაძე, ლილე თანდილაძე, მამია ფალავა, ომარ მემიშიში, მაია ბარამიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, თინა შიოშვილი, მანანა თავდგირიძე, ციალა ნარაკიძე, ჯემალ მიქელაძე. თბილისი, 2015.

ხალვაში 2000: ხალვაში ფ., თხზულებანი სამ ტომად. ტომი I, თბილისი, 2000.